საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს

განკარგულება

2020 წლის 27 აპრილი N 11

„კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ლიკვიდობის მხარდაჭერისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ინსტრუმენტების დამატებითი საშუალებების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2020 წლის 7 აპრილის N7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო ადგენს:

მუხლი 1. „კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ლიკვიდობის მხარდაჭერისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ინსტრუმენტების დამატებითი საშუალებების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2020 წლის 7 აპრილის N7 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9. კომერციული ბანკებისათვის ამოქმედდეს ეროვნული ბანკის ლიკვიდობის დამატებითი ინსტრუმენტი - მუდმივმოქმედი სვოპი - შემდეგი პირობებით:

ა) მუდმივმოქმედი სვოპ ოპერაციები განხორციელდეს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში“ არსებული ეროვნული ბანკის ფიქსირებულპროცენტიანი სესხის (შემდეგში სესხის) ინსტრუმენტის მეშვეობით ამავე სისტემის წესების შესაბამისად.

ბ) კომერციულ ბანკებს უფლება აქვთ ნებისმიერ საბანკო დღეს სესხი აიღონ თავიანთი გადაწყვეტილებით და იმ მოცულობით, რისი საშუალებაც მათ აქვთ ამ ინსტრუმენტისათვის ნებადართული გირაოს მოცულობიდან გამომდინარე.

გ) თითოეული სესხის ვადად განისაზღვროს ერთი თვე მისი განახლების უფლებით, ხოლო სესხით სარგებლობის პერიოდად განისაზღვროს ერთი წელი 2020 წლის 1 მაისიდან 2021 წლის 1 მაისამდე. სესხის თანხის გაზრდა ან შემცირება ბანკს შეუძლია სესხის გადაგორებისას.

დ) სესხის საპროცენტო განაკვეთი განისაზღვროს შემდეგი ფორმულით R = T-L+O+D, სადაც T არის ერთთვიანი TIBR1M საპროცენტო განაკვეთი, L არის ბლუმბერგის სისტემაში გამოქვეყნებული აშშ დოლარის ერთთვიანი LIBOR-ის საპროცენტო განაკვეთი, O არის ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხის სპრედი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთთან, ხოლო D არის ეროვნული ბანკის მიერ აშშ დოლარის დეპოზიტზე დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი. ამ პარამეტრების დადგენა მოხდეს კომერციული ბანკის მიერ სესხის განაცხადის ეროვნულ ბანკში წარდგენის დღის მდგომარეობით არსებული მონაცემების საფუძველზე.

ე) სესხის ოპერაციის ანგარიშსწორება განხორციელდეს კომერციული ბანკის მიერ „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში“ შესაბამისი განაცხადის წარდგენის შემდეგ საბანკო დღეს, ამავე სისტემის წესების შესაბამისად.

ვ) სესხის გირაოდ გამოყენებული იქნას ამ მიზნით ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკის სპეციალური დეპოზიტის ანგარიშზე აშშ დოლარით განთავსებული თანხა, ხოლო

ოპერაციულად გირაოს გამოყენება განხორციელდეს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში“ არსებული ტექნიკური საშუალების ინსტრუმენტის მეშვეობით.

ზ) სესხის გირაოს ჰეარქათი განისაზღვროს 10%-ის ოდენობით, ხოლო აშშ დოლარის მიმართ ლარის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო გირაოს ცვლილების ზღვარი განისაზღვროს 7%-ის ოდენობით.

თ) კომერციულ ბანკს უფლება აქვს იგივე უზრუნველყოფის გამოყენებით აიღოს ახალი სესხი და ამით მოახდინოს ეროვნული ბანკისაგან აღებული სესხის დაფარვა.

ი) სესხის დაფარვის დღეს, სესხის არდაფარვის შემთხვევაში, სესხის სრულ თანხაზე კომერციულ ბანკს ეროვნული ბანკის სასარგებლოდ დაერიცხოს ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხის პროცენტი.

კ) სესხის დაუფარაობის ან დეპოზიტის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, სესხის და მასზე დარიცხული პროცენტის თანხას და ამავე სესხის უზრუნველყოფაში არსებულ დეპოზიტის თანხას შორის სხვაობის გათვალისწინებით მოხდება ვალდებულებების ნეტინგი. ნეტინგის თანხის გაანგარიშებისათვის გამოყენებული იქნება ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი.“.

მუხლი 2. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარე კობა გვენეტაძე